

„სქემის ხელაღებით შეჩერება გამოიწვევს უზარმაზარ პრობლემებს, მხოლოდ პედაგოგებისთვის“ – იურისტის განმარტება

25-03-2021 https://etaloni.g

„სქემის შეჩერება დანამატის შეჩერებას გამოიწვევს. პეტიციას არ ვეთანხმები“ - Etaloni.ge-ში გამოქვეყნებულ მაია კობახიძის ინტერვიუს, პედაგოგების მხრიდან არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა დანამატის შეჩერების საკითხი და ალბათ აქედან გამომდინარე, დადგა აუცილებლობა, განცხადება კანონის საფუძვლებით გამყარებულიყო.

მასწავლებელთა პროფკავშირების იურისტი, უჩა ბაკურაძე აცხადებს, რომ სქემის შეჩერება მხოლოდ დანამატის შეჩერებას კი არა, სხვა უამრავ პრობლემას წარმოქმნის, რითაც მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლები დაზარალდებიან. იურისტის განმარტებას, რომელიც სოციალური ქსელით გავრცელდა, უცვლელად გთავაზობთ:

„როგორც იურისტი და ამავე დროს, მასწავლებლებზე გულწრფელად გულშემატკივარი ადამიანი, აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონი მაია კობახიძის თითოეულ სიტყვას**!!!** უკვე მერამდენედ დავრწმუნდი, რომ პედაგოგებს არ ჰყავთ მეორე ისეთი მხარდამჭერი და მათი ინტერესების გამტარებელი, როგორც ქალბატონი მაია. ამ ხელოვნურ გაურკვევლობაში, რაც მინიმუმ უცოდინრობით და მაქსიმუმ - მიზანმიმართულადაა შექმნილი, სწორედ ქალბატონი მაია აღმოჩნდა ის ადამიანი, ვინც გააკეთა კვალიფიციური, თამამი და პედაგოგების ინტერესებზე მორგებული განცხადება**!!!**

სქემის ხელაღებით შეჩერება აუცილებლად გამოიწვევს უზარმაზარი მასშტაბების პრობლემებს, მხოლოდ პედაგოგებისთვის და არა ვინმე სხვისთვის. და არ მგონია, ამ რისკებსა და მავნე შედეგებზე პეტიციის ავტორებმა პასუხისმგებლობა აიღონ. **დარჩებიან მხოლოდ დაზარალებული პედაგოგები,** რომელთა ერთადერთი იმედი ისევ მაია კობახიძე აღმოჩნდება.

სქემის შეჩერების შედეგად, შესაძლებლობა მოესპობათ პედაგოგებს, აიმაღლონ სტატუსი და შესაბამისად - დანამატიც. მათი მომავალი იქნება ბუნდოვანი. რას ეუბნებით პეტიციის ავტორები ამ პედაგოგებს? გიფიქრიათ მათზე?

გარდა ზემოთქმულისა, სქემის შეჩერების შედეგად, **სკოლიდან წასული და შემდეგ უკან დაბრუნებული პედაგოგები ვეღარ აღიდგენენ სტატუსს. ვინაიდან, შესაბამის პროცედურებს სწორედ სქემის დოკუმენტი ითვალისწინებს. მათ ვეღარ მიეცემათ კუთვნილი სქემის დანამატები (ანუ შეუჩერდებათ).** რას ეუბნებით პეტიციის ავტორები ასეთ პედაგოგებს? გიფიქრიათ მათზე, როდესაც ასეთი სამართლებრივად მოუმზადებელი და პოპულისტური, მყვირალა „იდეა“ შემოაგდეთ?

სქემის შეჩერების **შედეგად, საფრთხის ქვეშ დადგება საერთოდ სქემის დანამატების გაცემა, ვინაიდან სტატუსების ჩამონათვალს განსაზღვრავს სქემა.** 126/6 ბრძანება მხოლოდ მითითებას აკეთებს სხვა ნორმატიულ აქტზე. თავად ის არ განსაზღვრავს ასეთი სტატუსების არსებობას. **სტატუსები ბუნებაში რომ არსებობს და უვადოა, ეს სქემითაა სწორედ გათვალისწინებული** და თუ სქემა შეჩერდა, შესაბამისად, ლოგიკურად, ჩერდება იმ დებულებების და შინაარსის მოქმედება, რაც მასშია გაწერილი. პეტიციის ავტორებს უფიქრიათ, რომ რისკის ქვეშ აყენებენ ამ დანამატების გაცემას?

თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ სქემა მართლაც შეჩერდა, ქალბატონი მაია იბრძოლებს სწორედ იმაზე, რომ ეს მავნე შედეგები არ დადგეს და უამრავ კონტრარგუმენტსაც შეიმუშავებს, მაგრამ რატომ უნდა დავაყენოთ საფრთხის ქვეშ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები? თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, სწორი იქნება კონკრეტული ხარვეზის გამოვლენა და მის გამოსწორებაზე მუშაობა. პოპულიზმს და არაკვალიფიციურობას სიკეთე არასოდეს მოუტანია.

ის პედაგოგები, რომლებიც სქემის შეჩერებას ითხოვენ, ემსგავსებიან ადამიანს, რომელიც კმაყოფილი სახით, ხერხავს იმ ტოტს, რომელზეც თავად ზის“.